

# ქარელის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ატლასი და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა

*სალომე ელბაკიძე*

ელ-ფოსტა: [salome.elbakidze360@ens.tsu.edu.ge](mailto:salome.elbakidze360@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

თანამედროვე კარტოგრაფიის ერთ-ერთ დინამიკურ მიმართულებას წარმოადგენს *გეოინფორმაციული კარტოგრაფირება*. ამჟამად ქართულ კარტოგრაფიაში ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის კომპლექსური ელექტრონული ატლასისა და შესაბამისი, მუდმივ რეჟიმში განახლებადი, შეფასებითი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის შექმნა. ამდენად, თემა ინოვაციური დანიშნულებისაა.

კარტოგრაფირების ობიექტად შერჩეულ იქნა შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ქარელის მუნიციპალიტეტი. მიზნად დავისახეთ, ამ ადმინისტრაციული ერთეულისათვის კომპლექსური ელექტრონული ატლასისა და შეფასებითი გეოინფორმაციული სისტემის შექმნა. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს შემდეგი კონკრეტული ამოცანები: ა) არსებული ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროების მოძიება და ანალიზი, ბ) ციფრული ტოპოგრაფიული საფუძვლის მომზადება შესადგენი თემატური რუკებისათვის, გ) საველე კვლევის ჩატარება და შეგროვილი ინფორმაციის სივრცული ანალიზი, დ) ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მონაცემთა ბაზის შექმნა, ე) შეფასებითი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის შექმნა, ვ) კომპლექსური ელექტრონული ატლასის შედგენა და სამეცნიერო რედაქტირება.

სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული იქნება: აღწერილობითი მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი, კარტოგრაფიული მეთოდი, დისტანციური ზონდირების მეთოდი, გეოინფორმაციული მეთოდი.

კვლევის განხორციელების შედეგად მიღებული კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული პროდუქტები - შეფასებითი გეოინფორმაციული სისტემა და კომპლექსური გეოინფორმაციული ატლასი, შესაძლებელია პრაქტიკულად გამოიყენოს ქარელის მუნიციპალურმა სამსახურებმა შემდეგ სფეროებში: ადმინისტრაციული მართვა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ტურიზმი და რეკრეაცია, ეკოლოგია.